საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 149/ს
17/06/2022

149-21-4-202206171503

ვანის მუნიციპალიტეტში, შპს „ბ. პ. ჰესის" 4.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - სულორის ჰესების კასკადის (სულორი 1 ჰესი და სულორი 2 ჰესი) მშენებლობა-ექსპლუატაციასა და 35 კვ ეგხ-ის გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის", მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 და 3.8 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ვანის მუნიციპალიტეტში, შპს „ბ. პ. ჰესის" 4.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - სულორის ჰესების კასკადის (სულორი 1 ჰესი და სულორი 2 ჰესი) მშენებლობა-ექსპლუატაციასა და 35 კვ ეგხ-ის გაყვანაზე სკოპინგის დასკვნა N31;
2. შპს „ბ. პ. ჰესის" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N31 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბ. პ. ჰესს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბ. პ. ჰესის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ვანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო